

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებები საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის თაობაზე

2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა და საქართველოს პარლამენტს გადაუგზავნა.¹

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს დამტკიცებული ადამიანის უფლებათა პირველი ეროვნული სტრატეგიის (2014-2020) ვადა 2020 წლის ბოლოს ამოიწურა. სტრატეგიის ახალ ვერსიაზე სამთავრობო უწყებები დახურულ ფორმატში 2 წელზე მეტს მუშაობდნენ, თუმცა დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი მხოლოდ 2022 წლის 23 აგვისტოს გახდა. სტრატეგია მთავრობამ გასაჯაროებიდან ორ კვირაში, 5 სექტემბერს დაამტკიცა,² ისე, რომ დაინტერესებულ მხარეებს არ ჰქონიათ დოკუმენტის საფუძვლიანი გაცნობის შესაძლებლობა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი იმედგაცრუებულია ადამიანის უფლებათა სტრატეგიის შემუშავების არაინკლუზიური პროცესით. სტრატეგიაში მითითებული ინფორმაციის³ საწინააღმდეგოდ, მისი შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულები არ ყოფილან.

საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული სტრატეგია მოიცავს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ძირითად გამოწვევებს, რაც მისასაღებელია, თუმცა, მასში გათვალისწინებული არ არის შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხები:

- მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კუთხით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების აუცილებლობა;
- მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების ეფექტიანი გამოძიება;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მანდატის განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი;

¹ Parliament.ge (ვებგვერდი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, პარლამენტის ბიურომ სტრატეგიის კომიტეტზე განხილვის ვადა 11 ოქტომბრიდან 30 დღით გადაავადა. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება N 188/9, 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/307879>

² საგულისხმოა, რომ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2022 წლის 14 თებერვალს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და გამოთქვა მზაობა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით (დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილი N20221402/303).

³ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის საუბრობს სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ჩართულობაზე. გვ. 2

- სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაცია;
- ადრეული ქორწინების პრევენცია;
- საქართველოს შრომის კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელებისა და გაუმჯობესების საკითხი;
- განგრძობადი ოკუპაციის აღმოფხვრის/პრევენციის საკითხი;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა, ლგბტ+ თემის, ბავშვთა და შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიცოცხლის მოსპობის და სავარაუდო წამების ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების საკითხი.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღება წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, რომელიც 2014 წელს დაინერგა. თუმცა, მნიშვნელოვანია, სტრატეგიის პარლამენტის მიერ მიღების პროცესმა სიმბოლური დატვირთვის გარდა, რეალური მნიშვნელობაც შეიძინოს, რაც წარმოუდგენელი იქნება დოკუმენტის განხილვის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ინტერესთა ჯგუფების მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობის გარეშე.

შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოსაზრებებს მათ შორის, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც წინამდებარე სტრატეგიაში გათვალისწინებული არ არის. ორგანიზაციის შეფასებით, წინამდებარე რეკომენდაციების გათვალისწინება დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე.

- ადამიანის უფლებათა დაცვა მართლმსაჯულების განხორციელებისას

სტრატეგიის ნაწილში, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, ხაზგასმულია სასამართლოს განსაკუთრებული როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. თუმცა სტრატეგიის ყურადღების მიღმა რჩება სასამართლო სისტემაში არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძალაუფლების კონცენტრაციას უკავშირდება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმირება წარმოადგენს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის მიცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციას, რომელსაც ევროკომისია მართლმსაჯულების რეფორმირების ფუნდამენტურ საკითხად განიხილავს.⁴

შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სტრატეგიამ აღიაროს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ძალაუფლების კონცენტრაციის პრობლემა და მის მოსაგვარებლად შემოგვთავაზოს კონკრეტული ამოცანა, რომლის მისაღწევი გზები სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში იქნება გაწერილი.

⁴ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, გვ. 17.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის ზემოთ მოცემული მიზნის ამოცანა ა) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების გზით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების აუცილებლობის გარდა, 2022 წლის 31 აგვისტოს სტრატეგიის განხილვის სამუშაო შეხვედრაზე, ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გაძლიერების აუცილებლობას ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ მოწვეულმა თითქმის ყველა გამომსვლელმა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი უერთდება ამ წუხილს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის ბოლოს ნაჩქარევად მიღებული ცვლილებებით, გამარტივდა მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემა, მოსამართლეთა მივლინება მათი თანხმობის გარეშე, დასაშვები გახდა მოსამართლეთა სანქციების მიზნით მათი სხვა სასამართლოში გადაყვანა, დაქვეითება და ა. შ. რაც მოსამართლეებმა საჯაროდ გააკრიტიკეს.⁵

შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტრატეგიის მიზანს დაემატოს შემდეგი ამოცანა:

მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის განმტკიცება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, დაწინაურების და მოსამართლეთა მივლინების მარეგულირებელი წესების საუკეთესო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.

შესაბამისი ცვლილებები იქნება შესატანი აღნიშნული ამოცანების „ძირითად მაჩვენებლებშიც.“⁶

- **დანაშაულის პრევენციის მექანიზმის გაძლიერება, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა**

ადამიანის უფლებათა სტრატეგიის მიხედვით, პრიორიტეტად რჩება სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდა, ვინაიდან სამართალდამცავი სისტემის ეფექტიან მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი.⁷

სამართალდამცავ ორგანოებზე სუსტი ზედამხედველობა ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზულ რისკებს წარმოშობს და არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო ორგანიზაციების

⁵ netgazeti.ge (ვებგვერდი), „მოსამართლის დევნა დასაშვები ხდება კრიტიკული აზრის გამო“ – 14 მოსამართლე“, 28.12.2021, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/law/584624/>

⁶ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, გვ. 7

⁷ იქვე, გვ. 8

კრიტიკის საგანი.⁸ ევროკავშირში საქართველოს წევრობის განაცხადზე ევროკომისიის შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის პატივისცემა არაერთხელ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა ფარული მიყურადებისა და უკანონო თვალთვალის გამო; და რომ მიუხედავად არაერთგზისი მოწოდებისა, საგამომიებო ორგანოებზე ეფექტიანი ზედამხედველობის ნაკლებობის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაჭრილა.⁹ ამ კონტექსტში, საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 7 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების მიღება დაჩქარებული წესით, რითაც დაუსაბუთებლად გაფართოვდა როგორც ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა, ასევე, იმ დანაშაულების ჩამონათვალი, რომლებზეც ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების გახანგრძლივებული უფლებამოსილება ვრცელდება,¹⁰ მკაცრად გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია არ აღიარებს აღნიშნული პრობლემის არსებობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სტრატეგიით განსაზღვრული ზემოთაღნიშნული მიზნის ქვეშ გაჩნდეს ამოცანა, რომლის შინაარსიც დაზუსტდება ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში:

ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებაზე დემოკრატიული ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესება.

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შესაბამისი მანდატით აღჭურვილი ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცებაც. 2016 წელს უგულებელყოფილი იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹¹ რითაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქვემდებარეობაში დარჩა ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შესაძლებლობას აძლევს შეუზღუდავად მიუწვდებოდეს ხელი ფარული მეთვალყურეობის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნის ქვეშ გაიწეროს შემდეგი ამოცანა:

⁸ Venice.coe.int (ვებგვერდი) Georgia - Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, issued on 26 August 2022 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Rules of Procedure, ხელმისაწვდომია: [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2022\)028-e](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2022)028-e)

⁹ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, გვ. 11

¹⁰ Democracyresearch.org (ვებგვერდი), DRI საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივას ტოტალური კონტროლის დაკანონების მცდელობად აფასებს, 21.04.2022, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/955/>

¹¹ Matsne.gov.ge, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/625,640 2016 წლის 14 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს, როგორც ფარული მეთვალყურეობის განმახორციელებელი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

მიუხედავად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფართო მანდატისა და საქმიანობის საიდუმლოების მაღალი ხარისხისა, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში სამსახური ნახსენები არ არის. რეალურად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (ფართო საგამოძიებო მანდატი, მათ შორის, კორუფციული დანაშაულების გამოძიება, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელება, დემოკრატიული/საპარლამენტო ზედამხედველობის ნაკლებობა, ინფორმაციის გასაიდუმლოების სიხშირე და სხვა.), სუს-ის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი ყველაზე მაღალია. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტრატეგიაში გაჩნდეს ახალი ამოცანა, შემდეგი ფორმულირებით:

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მანდატის გადასინჯვა, მათ შორის, კორუფციული დანაშაულის გამოძიების მიმართულებით.

შესაბამისი ცვლილებები იქნება შესატანი ზემოაღნიშნული მიზნის ქვეშ შესაბამის „ძირითად მაჩვენებლებშიც.“¹²

- **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა**

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელება საქართველოში პოლიტიკური ბრძოლის და ოპონენტების კომპრომეტირების იარაღად იქცა. სამწუხაროდ, ფარული ჩანაწერების გავრცელების არც ერთ შემთხვევაზე გამოძიება არ დასრულებულა. ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამუშაო ვერსია ითვალისწინებს გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის ამოცანას, თუმცა აღნიშნული ამოცანის შესრულების მაჩვენებელი სტრატეგიაში მითითებული არ არის. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, მიზნის და ამოცანების მიღწევის „ძირითად მაჩვენებლებს“ დაემატოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებზე დასრულებული გამოძიებების და პასუხისმგებელ პირთა მიმართ შემაჯამებელი გადაწყვეტილებების დადგომის მაჩვენებელი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატის გაძლიერების მიმართულებით სტრატეგიაში ცალკე ამოცანის გამოყოფა. მით უფრო, რომ გასული წლების განმავლობაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მიუხედავად ვალდებულებისა, საგამოძიებო ორგანოებმა ფარული საგამოძიებო მოქმედებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის შესაბამისი დადგენილების წარდგენის გარეშე ჩაატარეს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შემოთავაზებაა, სტრატეგიის აღნიშნული მიზნის ქვეშ გამოიყოს შემდეგი *ამოცანები*:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატის გაძლიერება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ზედამხედველობა/ინსპექტირების მიმართულებით.

¹² საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, გვ.8

ფარულ საგამოძიებო მოქმედებების დროს მოპოვებული პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლების განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- **სიტყვის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლება**

ევროკავშირში საქართველოს წევრობის განაცხადზე ევროკომისიის შეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძირითადად პლურალისტური მედია გარემოა, ქვეყანაში გახშირდა ოპოზიციური მედია საშუალებების მესაკუთრეების წინააღმდეგ გამოძიებები და სასამართლო პროცესები, მზარდია ჟურნალისტების დაშინებისა და მათ წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური და ვერბალური თავდასხმების რიცხვი - გამოძიების პროცესი კი საკმარისად ეფექტიანი არ არის. სწორედ ამ კონტექსტში, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, ერთ-ერთი რეკომენდაციაა „მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარის შემთხვევებზე.“¹³

სტრატეგიით განსაზღვრული მიზანი და ამოცანები არ პასუხობს მედიის თავისუფლების კუთხით არსებული პრობლემების სიმწვავეს. სტრატეგია პრობლემად არ აღიარებს მედია თავისუფლების კუთხით მნიშვნელოვნად დამძიმებულ გარემოს, რაც რეალურად გახდა ევროკომისიის მიერ ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის მომზადების საფუძველი. შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შემოთავაზებაა, აღნიშნული ქვეთავის მიზანი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მასში აისახოს ჟურნალისტების მიერ პროფესიული საქმიანობის ძალადობისგან თავისუფალ გარემოში განხორციელების მიღწევისკენ სწრაფვა. გარდა ამისა, გთავაზობთ, აღნიშნული ქვეთავის ამოცანებს დაემატოს შემდეგი ამოცანები (შესაბამისად, ჩანაცვლდება ამოცანა ბ):

მედიის თავისუფლების და პლურალიზმის უზრუნველყოფა საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

მედია საშუალებების ფუნქციონირებისათვის დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა.

ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების, მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარის შემთხვევების და მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმეების მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების უზრუნველყოფა.

„ძირითადი მაჩვენებლების“ ჩამონათვალს, შესაბამისად, უნდა დაემატოს ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების და მედიის წარმომადგენელთა

¹³ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17.6.2022, გვ. 17.

უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარის ფაქტებზე აღძრული და გამოძიებული საქმეების რაოდენობა.

- **მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებები**

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლების დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რაც ძირითადად პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ძალის გადამეტებისა და მათი მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიებით არის განპირობებული.¹⁴ შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დოკუმენტში დაემატოს შემდეგი ამოცანა:

შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლისას სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების უზრუნველყოფა.

შესაბამისი ცვლილებების შეტანა იქნება აუცილებელი „ძირითად მაჩვენებლებშიც“.

- **განათლების ხელმისაწვდომობა**

განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა კორონა ვირუსის გავრცელებამ. განათლების სრულფასოვნად მიღების უფლება შეეზღუდათ სტრატეგიაში ჩამოთვლილ სამიზნე ჯგუფებთან ერთად პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანებს და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. სკოლამდელ განათლებას ბავშვის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. სწორედ ამ დროს ხდება ბავშვის სოციალიზაცია, უნარების განვითარება, მომზადება სკოლისთვის. ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლების პირველი საფეხურია და მნიშვნელოვნად განაპირობებს ბავშვის წარმატებულ სწავლას სკოლაში, ქმნის განათლებული საზოგადოების საფუძველს. კოვიდ 19-ის პანდემიამ დააზიანა სკოლამდელი განათლების სისტემა. საქართველოში ერთი წლის განმავლობაში, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე საბავშვო ბაღებმა მხოლოდ 4-6 კვირა იმუშავეს, ხოლო აჭარის რეგიონში საერთოდ არ უმუშავია.

შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შემოთავაზებაა სტრატეგიას დაემატოს სკოლამდელი განათლების მიმართულებით ახალი ამოცანები, შემდეგი ფორმულირებით:

სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაცია.

სკოლამდელი განათლების, განსაკუთრებით ბილინგვური სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

¹⁴ Democracyresearch.org (ვებგვერდი) „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“, <https://www.democracyresearch.org/geo/527/>, 19.02.2021; netgazeti.ge (ვებგვერდი), პოლიციის ძალადობის გასაპროტესტებლად დღეს ორი აქცია გაიმართება, <https://netgazeti.ge/news/588093/>, 25.01.2022

აღმზრდელ-პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიების შემუშავება და იმპლემენტაცია და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის და რესურსების გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

- **შრომის უფლებები**

საქართველოში შრომის კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით არა ერთი პროგრესული ცვლილება განხორციელდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავაც რჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მოსაწესრიგებლადაც აუცილებელია შრომის კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელება.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების, ასევე საქართველოში დასაქმებულთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოიცავდეს სოლიდარული გაფიცვის უფლებას, მინიმალური ხელფასის და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების განსაზღვრის ადეკვატურ წესს. საქართველოს შრომის კოდექსი გაფიცვის შესაძლებლობას დასაქმებულებს მხოლოდ მათ დამსაქმებლებთან დავის არსებობის შემთხვევაში აძლევს, რაც გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობას. მართალია, საქართველოს მთავრობის პოზიციით,¹⁵ საქართველოს შრომის კანონმდებლობა არ გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლებით სარგებლობას, თუმცა ის, რომ სოლიდარული გაფიცვის უფლება პირდაპირ აღიარებული არაა შრომის კოდექსით, ასეთი გაფიცვის გამართვის დამაბრკოლებელი გარემოებაა. გარდა ამისა, დღეს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში გამართული სოლიდარობის გაფიცვა კანონიერი აღმოჩნდება თუ არა, საქართველოს სასამართლოების გადასაწყვეტია. სასამართლოს მიერ ამ საკითხის შეფასება კი შესაძლოა საქართველოს მთავრობის მოსაზრებისგან განსხვავებული იყოს. ამიტომაც მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის კანონმდებლობა არაორაზროვნად და პირდაპირ ანიჭებდეს დასაქმებულებს სოლიდარული გაფიცვის უფლებას. სოლიდარული გაფიცვა არა ერთ ქვეყანაში აღიარებული სამართლებრივი უფლებაა, რომელსაც დასაქმებული იყენებენ ხელფასების გაზრდის, შრომის პირობების გაუმჯობესების და შრომასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფართო პრობლემების გადასაჭრელად, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნით და არა ვიწროდ, კონკრეტულ დამსაქმებლებთან დავის შემთხვევებისთვის.

საქართველოში მინიმალური ხელფასის განმსაზღვრელი ერთადერთი აქტი - პრეზიდენტის ბრძანებულება 1999 წელს იქნა მიღებული და მინიმალურ ხელფასად 20 ლარი განსაზღვრა.¹⁶ არსებული ვითარება მინიმალური ხელფასის საკითხის მოწესრიგებისთვის ახალ

¹⁵ www.ilo.org (ვებგვერდი), Direct Request (CEACR) - adopted 2017, published 107th ILC session (2018) Freedom of Association and Protection of the Right to Organise Convention, 1948 (No. 87) - Georgia (Ratification: 1999)

ხელმისაწვდომია:

https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_NAME,P11110_COMMENT_YEAR:3344016,102639,Georgia,2017

¹⁶ Matsne.gov.ge, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №351, მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ.

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0>

გადაწყვეტას მოითხოვს. საქართველოში შრომის კოდექსის შემუშავების ეტაპზე განიხილებოდა საკითხი მინიმალური ხელფასის დაანგარიშების მეთოდის განსაზღვრის და ამ საკითხის შრომის კანონმდებლობაში ასახვის თაობაზე, რაც საბოლოოდ განუხორციელებელი დარჩა. დასაქმებულთა შრომის უფლებების გაუმჯობესებისთვის მინიმალური ხელფასის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

გარდა ამისა, კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა მშობიარობის გამო (დეკრეტული) შვებულების ანაზღაურების საკითხი კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. საჯარო სექტორში არსებული განსხვავებული მოწესრიგების პირობებში, მნიშვნელოვანია კერძო სექტორში დასაქმებულებს ჰქონდეთ ღირსეული დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება ზემოთ მოცემული მიზნის ფარგლებში სტრატეგიაში ჩაიწეროს ამოცანა:

შრომის კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელება საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან დაახლოების უზრუნველსაყოფად სოლიდარული გაფიცვის, მინიმალური ხელფასის განსაზღვრის და ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურების კუთხით.

- **ბავშვის უფლებები**

სოციალური მუშაკის ინსტიტუტის სიძლიერე ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სფეროს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სოციალური მუშაკების რაოდენობა მცირეა და ამის მიუხედავად, მათი სამიზნე ჯგუფი და სამუშაო მიმართულებები მრავალფეროვანია. პრობლემურია მათი ანაზღაურებისა და ზოგადად, სამუშაო პირობების საკითხი, რაც საბოლოოდ, აისახება მათ პროფესიონალიზმზე. ინსტიტუტის გაძლიერების მიმართულებით, სახელმწიფო პოლიტიკა არამდგრადია და ხშირად იცვლება, რაც ეფექტიანი შედეგის მიღებას უშლის ხელს. სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ გაწეული ძალისხმევა ფრაგმენტულია, ვინაიდან ისინი ჩართულნი არ არიან უწყვეტი განათლების სისტემაში.

შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციაა, ბავშვის უფლებების ნაწილის დაემატოს ამოცანა შემდეგი ფორმულირებით:

ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალურ მუშაკთა გაძლიერება.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 87-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი

განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ბავშვის უფლებათა კოდექსი ძალაში 2019 წელს შევიდა და ჯერჯერობით, ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები მწირია. განყოფილებები ძირითადად შექმნილია და სტრუქტურაში დამატებულია, თუმცა დაკისრებული პასუხისმგებლობების ფარგლები თავად განყოფილების თანამშრომელთათვისაც ხშირად გაურკვეველია; უაღრესად დაბალია თანამშრომელთა კვალიფიკაციაც.

შესაბამისად, ამოცანებში (იმის მიუხედავად, რომ „ბ“ ამოცანაში მუნიციპალიტეტი ნახსენებია) დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, უნდა დაემატოს ამოცანა შემდეგი ფორმულირებით:

მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის განყოფილებების გაძლიერება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ბავშვის ინტერესებზე მორგებული პროგრამების მდგრადი განვითარება.

ბავშვთა დაცვის სფეროში განსაკუთრებულ პრობლემად რჩება პოლიციის განყოფილებებში ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რაც ზრდის ხელახალი ვიქტიმიზაციის საშიშროებას. განსაკუთრებული საფრთხეა სექსუალური ძალადობის შემთხვევები გოგო მსხვერპლების მიმართ პოლიციელთა/გამომძიებელთა დაბალი გენდერული მგრძობელობის გამო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს გამოკითხვა/დაკითხვის სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზაციის ნაკლებობა პოლიციისა და საგამომძიებო უწყებებში, რომელიც გულისხმობს, არა მხოლოდ დაკითხვა/გამოკითხვის სტანდარტების არცოდნას, არამედ ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და ბავშვზე მეგობრული მიდგომებისაც; დაბალია მგრძობელობა თავად საჭიროებების მიმართაც - გამომძიებელი/პროკურორი ვერ აიდენტიფიცირებენ შემთხვევებს, როდესაც ფსიქოლოგის ჩართულობა აუცილებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სპეციალიზაციისთვის სავალდებულო ცოდნა და მინიმალური კომპეტენციების ზღვარი.

შესაბამისად, ბავშვის უფლებათა ნაწილის აუცილებელია დაემატოს ამოცანა შემდეგი ფორმულირებით:

ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვისთვის დაზარალებული/მოწმე ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით ყურადსაღებია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წლამდე) მიუღწეველ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა მიუთითებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვებში დანაშაულის მაჩვენებლის ზრდაზე. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია აღდგენითი მიდგომები და პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და წყვეტს გამოძიებას, მაშინ როდესაც ზუსტად ამ დროს არსებობს

ბავშვებთან მუშაობის, დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი გარემოებების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების აუცილებლობა. არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი 2020 წლის დასაწყისში შეიქმნა, თუმცა დღემდე ცენტრის საქმიანობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არასრულწლოვან ბავშვებზე. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ რეფორმა 10 წელზე მეტია მიმდინარეობს, ყოველდღიური გამოწვევაა სერვისების სიმწირე, რომელიც როგორც რეფერირების ცენტრის, ისე არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის. სერვისების სიმწირის ფონზე, შეუძლებელი ხდება რეფორმის მიზნების მიღწევა და იმ ბავშვების რეალური მხარდაჭერა და დაცვა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.

შესაბამისად, აღნიშნულ ამოცანას - გ) ბავშვზე, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანზე, მორგებული მართლმსაჯულების, დანაშაულის პრევენციისა და რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - უნდა დაემატოს: **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა დანაშაულის პრევენცია და სოციალიზაცია.**

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის პრევენციული და რეაგირების მექანიზმები კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. გაეროს ბავშვთა ფონდის 2018 წლის [კვლევიდან](#) ჩანს, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები დგანან ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ; მათთვის არ არის ხელმისაწვდომი პირველადი ჯანდაცვის სერვისები და განათლება. მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოს.

აღნიშნულ ამოცანას - დ) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, მათ შორის რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანების დაცვის მექანიზმების შემდგომი გაძლიერება - უნდა დაემატოს **ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის პრევენციული და რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბება**, ისევე როგორც ხაზი გაესვას გოგოების მოწყვლადობის საკითხს.

ნარკოტიკებისა და ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარება პრობლემური საკითხია. შესაბამისად, აუცილებელია ამოცანა - ლ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია - დაემატოს - **ნარკოტიკებისა და ფსიქოაქტიური საშუალებების ავადმომხმარების თავიდან აცილება ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.**

ბავშვობის ასაკში ქორწინება კვლავ ძირითად საფრთხედ რჩება, მით უფრო, როდესაც საკითხი ქალებს ეხება. სქესის ნიშნით უზარმაზარ სხვაობას სტატისტიკაც ადასტურებს - 20-24 წლის ასაკის ქალების 14% 18 წლამდე იყო დაქორწინებული, მაშინ, როდესაც, ეს მაჩვენებელი მამაკაცებში 0.5 პროცენტია. რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა დასახლების ტიპის მიხედვითაც - სოფლად ადრეული ქორწინების მაჩვენებელი 25%-ია, ხოლო ქალაქად - 8%.

შესაბამისად, ბავშვის უფლებების საკითხს დაემატოს ამოცანა შემდეგი ფორმულირებით - **ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება.**

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში ინდივიდუალურადაა გათვალისწინებული ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან არსებული პრობლემები და გამოწვევები. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის აზრით, წინამდებარე რეკომენდაციების შესრულება ოკუპირებულ ტერიტორიებზე/საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების დარღვეული უფლებების აღდგენასა და დარღვევის პრევენციას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებები უგულვებელყოფილია, რასაც მსუსხავი ეფექტი აქვს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ადამიანთა უფლებებზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე/საოკუპაციო ხაზთან უკანონო დაკავების ფაქტების გამოძიება და სათანადო პრევენციული ღონისძიების გატარება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან სურვილის არარსებობის გამო. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, თითოეულ გამოწვევაზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არსებობდეს კონკრეტული შემხვედრი პრევენციული ნაბიჯები, რათა სახელმწიფოს რეაქციის კვალდაკვალ შემცირდეს უფლებების დარღვევის შემთხვევები, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე ოკუპირებულ მხარეს.

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირთა უფლებები

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიით განსაზღვრული მიზანი - *საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა* - იმეორებს ადამიანის უფლებათა 2014-2020 წლის სტრატეგიაში დასახულ მიზანს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის ეფექტიანი სამუშაო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების კონტროლის საჭიროებას.

საველე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში გამოწვევას წარმოადგენს განგრძობადი ოკუპაცია, რასაც პირდაპირ უკავშირდება საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირთა უსაფრთხოების ჯეროვანი დაცვა. სამართალდამცველები პრევენციულ ღონისძიებებს ატარებენ საოკუპაციო ხაზამდე რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. დაუცველობის, თავისუფალი გადაადგილების ორმხრივი შეზღუდვის გამო იცლება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სოფლები. შესაბამისად, ორგანიზაციის აზრით, მნიშვნელოვანია სტრატეგიის დაემატოს შემდეგი ამოცანა:

განგრძობადი ოკუპაციის აღმოფხვრა/პრევენცია საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო აქტების, მოლაპარაკებების ფორმატებისა და ხელმისაწვდომი სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანად გამოყენების გზით.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. საკითხის დაუსაბუთებლად გასაიდუმლოება, როგორც წესი, ახალისებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუარესებას. ამიტომ, მიზანშეწონილია შემდეგი ამოცანის დამატება:

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფა.

მისასაღმებელია, რომ სტრატეგიაში ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა განათლების უფლების გაუმჯობესება. თუმცა, საკითხის აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნულ ამოცანაში ცალკე გამოიყოს არაფორმალური განათლება:

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის, ჯანმრთელობის, განათლების, მათ შორის, არაფორმალური განათლების, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი საჭიროებების გათვალისწინებითა და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების გზით.

- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა, განსაკუთრებით უმცირესობების უფლებების დაცვა ფაქტობრივად, უგულებელყოფილია. ორგანიზაციის ინფორმაციით, მაგალითად, სპეციალიზებული სერვისები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის, არ არის ბავშვთა სახლები, ირღვევა ქალთა უფლებები (მაგალითად, აფხაზეთში აბორტი დაუშვებელია). შესაბამისად, მიზანშეწონილია სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ საქართველოში განხორციელებული პროექტების, აქტივობების, გამოცდილების ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები დაინტერესებული წრეების წარმომადგენლებისთვის გაზიარება. შესაბამისად, ორგანიზაციის აზრით, მნიშვნელოვანია, სტრატეგიას დაემატოს ახალი ამოცანა ან ამოცანა ა) ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ხაზი გაესვას მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირთა - **ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა, ლგბტ+ თემის, ბავშვთა და შშმ პირთა** - უფლებრივი მდგომარეობის დაცვის და გაუმჯობესების ხელშეწყობის აუცილებლობას.

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მოტივებით, წამების შედეგად ადამიანების გარდაცვალების ფაქტებს. შესაბამისად, სიცოცხლის უფლების დაცვისა და წამების და დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია შემდეგი ამოცანის გათვალისწინება:

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დისკრიმინაციული მოტივებით სიცოცხლის მოსპობისა და წამების ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

* * *

სტრატეგიის კონკრეტული პრიორიტეტების და მიზნების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების გარდა, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციაა, სტრატეგიაში მოცემული ადამიანის უფლებათა შესაბამისი მიზნების შესრულების ძირითად მაჩვენებლებს შორის გათვალისწინებული იქნას საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები. ასევე, ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების შეფასებები, როგორცაა Freedom House, Amnesty International და Human Rights Watch.

ამასთან, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი გამოთქვამს მზადყოფნას რელევანტურ უწყებებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში იმსჯელოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში შემოთავაზებული დამატებების შესახებ. აქვე, ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესისგან განსხვავებით, სამოქმედო გეგმების შემუშავება ინკლუზიურ და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომ გარემოში მოხდება. ამასთან, სტრატეგიის ეფექტიანობისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება ამავე დოკუმენტის საფუძველზე დეტალური სამუშაო გეგმების შემუშავების პროცესი დაუყოვნებლივ დაიწყოს.